



საქართველოში აკრედიტირებულ დიპლომატიურ კორპუსს,

საქართველოში მოქმედ საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებს

ქალბატონებო და ბატონებო,

როგორც მოგეხსენებათ, **2006** წელს განხორციელებული ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის რეფორმის შემდგომად **მნიშვნელოვანი პრობლემები** რჩება ამ სფეროში. მიუხედავად საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, საზოგადოებრივი სექტორის, მას-მედიის და სხვა აქტორების ძალისხმევით, სრულფასოვანი ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრება, ეფექტური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მოდელის მიღება, ადგილობრივი დემოკრატიის განვითარება და ფისკალური დეცენტრალიზაცია ვერ მოხერხდა.

ჩვენის აზრით, განვლილი სამი წლის განმავლობაში ამ მოცულობის პრობლემები განაპირობა იმან, რომ ხელისუფლების მიერ **რეფორმა გატარდა ნაჩქარევად**, ისე რომ არ არსებობდა დეცენტრალიზაციის სახელისუფლებო კონცეფცია და ამ კონცეფციის უზრუნველსაყოფი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი. არასამთავრობო ორგანიზაციათა (ჩვენს მიერ) **2005** წელს შემუშავებული კონცეპტუალური მოდელი და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი კი აბსოლუტურად იგნორირებული იქნა. ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ძირითადი მიმართულებები თავიდანვე წინააღმდეგობაში იყო „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპულ ქარტიასთან, ხოლო შემდგომ განხორციელებულმა ცვლილებებმა მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. ჩვენს გამოცდილებაზე დაყრდნობით და ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში არსებული რთული მდგომარეობიდან გამომდინარე ვფიქრობთ, თვითმმართველობის სფეროში არსებული პრობლემები სერიოზულია და საჭიროებს ასევე სერიოზულ გადაწყვეტას.

დარწმუნებული ვართ, მიმდინარე ეტაპზე საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის და **დეცენტრალიზაციის შემდგომი განვითარება წარმოადგენს აუცილებელ გარემოებას**. ამისათვის კი უდაოა რეალური და არა ფასადური რეფორმების გატარება, რომელიც არსებულ გამოცდილებაზე და რეალური თვითმმართველობის უმთავრეს პროცნებებზე უნდა იყოს დაფუძნებული. ჩვენი კოალიციის მიერ შემუშავებული კონცეპტუალური მოდელი და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი კიდევ ერთხელ უნდა გახდეს სერიოზული განსჯის საგანი როგორც საერთაშორისო ორგანიზაციათა, ასევე ხელისუფლების მხრიდან.

მოგიწოდებთ, **აქტიურად მიიღოთ მონაწილეობა** ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმირების პროცესში, რათა გაერთიანებული ძალისხმევით ხელისუფლების მხრიდან ყველა პოტენციური ცვლილება გახდეს სერიოზული განსჯის საგანი საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, საზოგადოებრივი სექტორისა და მას-მედიის მონაწილეობით. ამდენად, განსაკუთრებით დიდია თქვენი ლობისტური როლი ხელისუფლების დარწმუნებაში, რომ განხორციელოს რეალური და არა ფასადური ცვლილებები. მეორეს მხრივ, მხოლოდ თქვენი აქტიური ძალისხმევით იქნება შესაძლებელი ცვლილებებში რეალური საზოგადოებრივი თანამონაწილეობის უზრუნველყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში არ იქნება გათვალისწინებული



ყველა რეალური შენიშვნა-წინადადება და მოსაზრება, სხვანაირად ვერ მიიღწევა ის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა იყოს რეალურად დემოკრატიული და საზოგადოების მაქსიმალურ თანამონაწილეობაზე აგებული.

გამოვხატავთ რა დიდ პატივსაცემას და თანამშრომლობის სურვილს, გვჯერა რომ გაგებით მოეკიდებით აღნიშნულ საკითხს, შემოუერთდებით ჩვენს საერთო სულისკვეთებას და ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ რეალური ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებას საქართველოში.

„ადგილობრივი თვითმმართველობისა და დემოკრატიისათვის“ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიციის სახელით,

დავით ლოსაბერიძე

გამგეობის წევრი,

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი - CIPDD

კონსტანტინე კანდელაკი

გამგეობის თავმჯდომარე,

სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი – ICC

დავით ნარმანია

აღმასრულებელი დირექტორი,

კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი - CIESR

აღნიშნულ მიმართვას ეთანხმება და ასევე ხელს აწერს „ადგილობრივი თვითმმართველობისა და დემოკრატიისათვის“ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიციის წევრი კიდევ 17 ორგანიზაცია:

1. Gori Information Centre;
2. Georgian Self-government and City Union;
3. Caucasian Journalists' Network.
4. Shida Kartli Institute for Democratic Development;
5. Association for Civil Development in Mtskheta;
6. Institute for Local Democracy and Economy;
7. Business Centre of Akhalkalaki;
8. Georgian Regional Media Association;
9. Association “Atinati”
10. Disabled Women and Children Association - Dea;
11. Georgian Civil Development Association;
12. Democratic Meskhetians Union;
13. Civil Integration Fund;
14. Union “Temi”
15. Georgian Democratic Development Union;
16. Institute for Democratic Reforms;
17. Users' Union in Samtskhe-Javakheti;
18. School, Family, Society.

